



თიბისი ფონდი
დაზარალებულთა მხარდასაჭერად

ინფორმაცია პრესისათვის

თიბისი ფონდი

მის: თბილისი, მარჯანიშვილის 7

ტელ: 27 27 27

ფაქსი: 27 27 10

ელ-ფოსტა: info@tbcfund.com.ge

www.tbcfund.ge

“თიბისი ფონდი” დევნილ ორსულებს დედის დღეს მიულოცავს

პრესრელიზი

3 მარტი, 2009. – თიბისი ფონდი აგვისტოს მოვლენების შედეგად დევნილ ორსულ ქალებს დედის დღეს მიულოცავს. ტონისძიება თიბისი ბანკის ვაჟის ფილიალში გაიმართება, სადაც თიბისი ფონდი და თიბისი ბანკის პრეზიდენტი ვახტანგ ბუცხრიყიძე საზოგადოებას თიბისი ფონდის მუშაობის ანგარიშს წარუდგენს და დევნილ მომავალ დედებს დაასაჩუქრებს.

დევნილი ორსული ქალებისა და ახალშობილების გრძელვადიანი დახმარება თიბისი ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია. ეს პროექტი ითვალისწინებს აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული ყველა ორსულის და ახალშობილის დახმარებას.

პროგრამის ფარგლებში, თიბისი ფონდი ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას უწევს ორსულ ქალებს და ეს დაფინანსება გრძელდება ბავშვის დაბადებიდან 1 წლის მანძილზე. საშუალოდ თითოეულ ოჯახზე -15 თვის განმავლობაში.

გარდა ამისა, ყოველ დაბადებულ ბავშვზე დამატებით გაიცემა ერთჯერადი თანხა, ახალშობილისთვის ნივთების შესაძენად. თიბისი ფონდის ყოველთვიური დახმარებით შესაძლებელი იქნება დედის და ახალშობილის პირადი ჰიგიენის ნივთებით სრულად უზრუნველყოფა.

პროექტი დაახლოებით 2 000-ზე მეტ დედას და ამდენსავე ახალშობილს მოიცავს. დღეისათვის უკვე დაბადებულია 1300-მდე ახალშობილი, ხოლო უახლოეს 2 თვეში კიდევ 800-მდე ბავშვი დაიბადება.

ამ ბავშვებზე, პროექტის ფარგლებში, თიბისი ფონდის მიერ, ჯამურად, 2 მილიონ ლარამდე გაიცემა.

თიბისი ფონდი 2008 წლის 13 აგვისტოს დააფუძნა თიბისი ბანკმა და მისი მიზანია დევნილი ბავშვების დასახმარებლად გრძელვადიანი პროექტების განხორციელება. ფონდში პირველი შენატანი, 5 მილიონი ლარის ოდენობით, თიბისი ბანკმა გააკეთა.

ფონდის დაარსებიდან 3 თვის განმავლობაში, თიბისი ბანკს ასობით კომპანია და კერძო პირი შეუერთდა, რის შედეგადაც ფონდში მოხილვადი თანხამ 7,5 მილიონ ლარს გადააჭარბა. თიბისი ფონდის მსხვილი დონორები არიან კომპანია “ბაგრატიონი 1882”, ელიზი ჯგუფი და სხვა.

თიბისი ფონდის მეორე გრძელვადიანი პროექტია წეროვანის სკოლის მშენებლობა, რომლის ფართი დაახლოებით 6 000 კვ. მეტრი იქნება და 2 000 მოსწავლეზე იქნება გათვლილი. სკოლის მშენებლობას განახორციელებს “ახალი სამშენებლო კომპანია”.

თიბისი ფონდის დონორები:



საქველმოქმედო ორგანიზაცია “თიბისი ფონდი” - დაფუძნდა 2008 წ. 13 აგვისტოს, თიბისი ბანკის მიერ, რომელმაც პირველი შენატანი განახორციელა ფონდში 5 მილიონი ლარის ოდენობით. თიბისი ფონდის მიზანია შიდა ქართულში აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული ბავშვებისათვის გრძელვადიანი დახმარების პროგრამების განხორციელება.